ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის მართული კონკურენციის მოდელი

მირანდა ბიბილეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მირანდა ბიბილეიშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი. ჯანდაცვის სისტემის მიზნებს წარმოადგენს: მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის სამართლიანობა, თანასწორობის პრინციპის დაცვა, ფინანსური დაცვა , არსებული რესურსის ეფექტურად გამოყენება. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია სოციალური დაზღვევის კონკურენტული სადაზღვევო მოდელის განხილვა, (კერძოდ, ნიდერლანდების მაგალითზე) , სადაც ხდება ხარჯების ეფექტური შეკავება და მართვა , რაც საშუალებას იძლება მიღწეულ იქნას ჯანდაცვის სისტემის მიზნები. ამასთანავე პარალელების გავლება ხდება საქართველოში 2008 წელს და შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ჯანდაცვის რეფორმებთან. საქართველოში 2008 წელს იყო მცდელობა დანერგილიყო კონკურენტული სადაზღვევო მოდელი. **მეთოლოდოგია**. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოძიებულ იქნა ექსპერტთა აზრი და შედეგად გამოიკვეთა საქართველოში განხორციელებული რეფორმების ხარვეზები და დადებითი მხარეები, შესაბამისად მიღებულ იქნა დასკვნა საქართველოში კონკურენტული სადაზღვევო მოდელის დანერგვის ეფექტურობის საკითხთან მიმართებაში. **დასკვნა, რეკომენდაციები.** რესპოდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კონკურენტული მოდელის არჩევა სისტემის განვითარების სწორი გზაა და ემხრობა პროვაიდერის და მზღვეველის თავისუფალი არჩევანის პრინციპს, რადგან მათი აზრით, კონკურენტული ბაზარი ხელს უწყობს ხარისხსა და ეფექტურობას.

Abstract

Introduction. The main goal of heath-care system is to improve health status of polulation, to evade financial riks, be just and evade inequality , utilize resources Effectively. scientific research describes principles of managed competition. Best example from the countries Where's such kind of healh-care system is the Netherlands. At the same time , we'll talk about Georgia. In Georgia in 2008 and later , where were managed competitive health-care system in our country, but it was not very successful.

Methodology. Exactly about this we talk to experts and take information: what was good or negative sides of system .**Results and conclusion**. Accordingly, we make decision : it will be or no effective if Georgia have such kind of health system. Experts says, that it's best way of developement in the future , after some years we will be ready for changes. they say, that competition makes market more quality and effective.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში აქტიური დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჯანდაცვის და დაზღვევის სკოლის დირექტორს ბატონ თენგიზ ვერულავას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორი პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ დოქტორანტს, ქალბატონ მაგდა ასათიანს.